მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 21 | 1883—1899 | 15 ნოემბერი

ჩვენებური ფარისევლური ტირილის გამო.

ერცა ერთი თავის წარსულით თავმოწონებული და გაამაყებული ერი ვერ დაიქადებს იმას, რომ მათ წინაპართა ეოფა-ცხოვრების წეს-წეობილებაში როგორც კარგი და სასარგებლო მებრძი ცუდი და საზარალო ზნე-ჩვეულებანი და ადათიც არ ეოფილიეოს გავრცელებული და მაგრად ფესვმოკიდებული ხალხის სულსა და გულში. მაგრამ რამდენადაც შთამამავლობა ადამიანთა ტომისა წინ მიდის სწავლა განათლებით, ჭკუა აზრთა და გონებათა გაბრწყინებითა და განვითარებით, იმდენად იგი სცდილობს გონიერულის თვალით ჩაუკვირდეს თავიანთ წინაპართა ცხოვრების მატიანეს და რაც კარგი და სასარგებლო აღმოჩნდება ძველთა ცხოვრებაში, ზნე-ჩვეულებაში, იგი გადმონერგოს თავის ცხოვრების სფერაში და დაიცვას შეურეველად. ხოლო რაც უაზრო და მავნებელი აღმოჩნდება, იგი არ შეითვისოს, მოსპოს და შთააბარეს საუკუნოთ ისტორიის ღრმა სამარეს. ამ ნაირს აზრს ადგია ზემო აღნიშნულის საგნის შესახებ ეოველი ღრმად მოაზრე და ჯეროვანად განათლებული ხალხი. ამას თხოულობს კაცობრიობის აზრითა და გონებით

წინსვლა პროგრესსი... საშეუსაროდ ამ ნაირ გონიერულს აზრს არ იცავს, ერთი მხოლოდ ჩვენი ერი. ჩვენი ხალხი მხოლოდ იმას ივიწყებს და არ იცავს თავიანთ წინა პრების ზნე-ჩვეულებიდამ, ცხოვრების ორგანიზაციიდამ, რაც მტკიცედ დასაცავი და მეირფას ეროვნულ საუნჯედ მისამჩნევია; ხოლო ინარჩუნებს, გულმოდგინეთ იცავს და გადაქვთ შვილითი შვილამდე ვითარცა სჯული, მხოლოდ ის, რაც უარსაყოფელი და მოსასპობელია. ეს რომ ასეა, ამის დამამტკიცებელი მაგალითები მეტად მრავალია ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მაგრამ ჩვენ დღეს მხოლოდ იმ საგანზე გვინდა ვესაუბროთ ჩვენს მკითხველს, რ ამელიც ამ წერილის სათაურშია აღნიშნული. ვინ არ იცის?! ვინ არ ხედავს?! ვინ არ გრძნობს?! რომ ჩვენებური ტირილი და გამოტირილები მიცვალებულთა არის დიდათ დამაზარალებელი ხალხის ნივთიერ ყოფა-ცხოვრებისა; არის დიდი წინააღმდეგი როგორც ჩვენი ნათელი სარწმუნოების, მებრეე ადამიანის ცოტაც არის განათებული ჭკუა აზროვნებისა. ეს ყოველ გვარად მავნებელი ჩვეულება ადრევე უნდა მოესპო ჩვენს ხალხს და ჩაემარხა ისტორიის სამარეში, მაგრამ დღემდის აზრათაც არავის მოსვლია ჩვენში ზრუნვა შესახებ მისა, რომ ეს ჩვეულება ჩვენს ხალხს უვარ ყოფ და თავიდან მოეშორებია.. მართალია, ქართული პრესსაში აქა იქ გაკვრით გამოთქმულა ის აზრი, რომ ჩვენს ხალხს მოესპო ეს ნივთიერის მხრით გამოღატაკებული ჩვეულება, მაგრამ ისე მკრთალად, ისე სუსტათ, რომ დარჩენილა იგი ხმად მღაღადებელისა... იმიტომ, რომ რამდენადაც ხალხს დიდის ხნით შესისხლხორცებული აქვს წინა პართა ზნე-ჩვეულებიდამ რომელიმე მავნებელი ჩვეულებანი, იმდენად საჭიროა კარგად მოწეობილ მოლესილი ბარი და თოხი, რომ მირიანათ აღმოკვეთოს მავნე ჩვეულების ფესვები ხალხის გულის სიღრმიდამ. ამ გვარ იარაღად, ამ გვარ ბარ-თოხად მიმჩნეულია მწერლობა, ბეჭვდითი სიტყვა.— მაგრამ თუ მწერლობამ გულს-მოდგინეთ არ ჩასჭიდა ხელი საკამათო საგანს, ისე სიტყვის გაკვრა-გამოკვრით ფონს ვერ გავა და თავის მიზანს ვერ მიაღწევს... სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის ამბავი, რომ ჩვენმა სასულიერო გაზეთმა „მწყემსმა“ უფრო ენერგიულად ჩასჭიდა ხელი ამ საგანს და სცდილობს, როგორმე გამოუმგრიოს საფუძველი ამ დასაგსიანებულ მავნებელ ძველი ჩვეულების შენობას. ამ წლის „მწყემსი“-ს 15—16 №-ში დასტამბულმა წერილმა, რომელის მეორე ნახევარი ეხება ხსენებულს ჩვეულებას, მიიქცია მკითხველის ყურადღება და ჩააფიქრა იგი. ეს მოვლენა ფრიად სასიამოვნოა, რომ თან არ ჰყვებოდეს მტკნარი უმეცრება და გაუგებლობა საეურადღებო წერილის ზოგიერთ წამკითხველებისა, ეს უკანასკნელნი, რომელთაც არ ახლავსთ იმზომი ჭკუა-გონების ძალ-ღონე, რომ თავის ბირდა-ბირის დედა აზრით შეიგონონ დასტამბული წერილის შინაარსი, ზარ აღებული იერემიულად ჰგოდებენ: „ღმერთო, რა დროში ვსცხოვრებთ?! როდესაც სატირალი გვაქვს, ნუ იტირებთო, გვიქადაგებენ!!—ამა როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც უწყალო სიკვდილი წაგვართმევს ოჯახის საუკეთესო და გულითად საყვარელს წევრს, როდესაც გული ნაღვლით გაქვს ავსილი და სული აღმოთე-

ბული მიცვალებულის ოჯახის კრებულთ. არ იტირონ?! მაშ როგორ უნდა მოვიქცეთო“, ამბობენ ისინი და სხვა... ამ ნაირად ახსნა და შეგნება ჩვენებურის ტირილის წინააღმდეგ დასტამბულის წერილების შინაარსისა სხვა რომ არა ვსთქვათ რა, დიდი შეცდომაა; ვინ ამბობს იმას, როდესაც ადამიანს მოუკვდება გულ საწვავი წევრი თვისის ოჯახისა, როდესაც ჭირისუფლის გული აღვსილია მწარე ჯავრით და თვალთაგან უნებლიეთ გადმოჰქუსს ცხარე ცრემლის ნაკადული, ნუ იტირებო?!!—ამ გვარ განსაცდელის დროს ცრემლთა ღვრა ადამიანის სულისა და გულის თანაშობილი თვისება არის და ამის მოსპობა ადამიანის ძალ-ღონეს არ ექვემდებარება. ვინ მოსთხოვს სუსტს არსებას, მომაკვდავ ადამიანს, როდესაც გულითადი საუვარელი მოუკვდება, ნუ ინაღვლი, ნუ იტირებო?! როდესაც თვით ზეციური დედოფალი, ეოვლად წმიდა მარიამი ტიროდა, როდესაც მისი ღვთაებრივი მძიმე ჯვარით დატვირთული მიჰყავდათ მტარვალებს გოლგოთაზე მოსაკლავად. ცრემლეობდენ ქრისტეს ერთგულნი მოწაფენი. ცრემლეობდა მოხუცი არიმათიელი, მშვენიერად წოდებული, იოსები, ნიკოდიმოსი თითურთ. ცრემლეობდნენ მენელსაცხებელნი დედანი და სხვანი... ცრემლეობდა თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტეც, როდესაც მივიდა ბეთანიაში თვისის მეგობრის, ოთხი დღის მკვდარის ლაზარეს საფლავზე, და წინ შეეგებნენ ძმის სიკვდილით გამწარებულნი დები ლაზარესი მართა და მარიამი.. თუ თვით მაცხოვარმა ვერ შეიმაგრა, ანუ არ შეიმაგრა ამ გვარს მდგომარეობაში და ცრემლეობდა; ჩვენ მსხვერპლს სიკვდილისას, სუსტს არსებას, ვინ მოგვთსოვს იმას, რომ როცა გვტირება, ნუ იტირებო?!— გულითადის ტირილისა და ცრემლის შესახებ წინააღმდეგი არავის არა ეთქმის რა... სულ სხვა ტიპის, სხვა ჯურის არის ის ჩვენი ფარისევლური ტირილი, რომლის მოსპობის საჭიროებას გვიქადაგებს გაზეთი «მწყემსი»: გარდაიცვლება ოჯახის წევრი თუ არა, გულ-შემატკივარს ჭირისუფლებს აღარც კი რჩებათ დრო თავის მიცვალებული გულ-მტკივნეულად იტირონ; ისინი იმავ შემთხვევაში უნდა შეუდგენ მზადებას მრავალ მოტირალთა მოწვევისას და მათ მდიდრულად გამასპინძლებისას. იმისთანა ოჯახი ძვირად აღმოჩნდება, რომელსაც ამ გვარ შემთხვევაში თავის შინაური ქონება ეყოს და ვალის აღება არ დასჭირდეს, იღებენ ვალს ებრაულის სარგებლით, ყიდულობენ მით სხვა და სხვა, შემთხვევის შეუფერებელს დიდის ფასის სანოვაგეებს. ჭირისუფალი თუ მაღალ წოდებას ეკუთვნის, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, ორასი-სამასი მოტირალი მაინც უნდა მოიპატიჟოს. ხშირად ისეთებსაც იწვევენ ტირილში, რომლებიც ვერც კი იცნობდენ მიცვალებულსა და მაშასადამე არც ეტირებათ იგი. დადგება თუ არა დღე მიცვალებულის დატირებისა და გასვენების, ივსება მასპინძლის სახლი, ეზო და მიდამო ვითომც და მომტირლებით და იმართება საზიზღარი სცენა ფარისევლობისა: ვითომც და, სტირიან გულ-მტკივნეულად მიცვალებულს ისეთი პირები, რომელთაც სრულიად არ ეჯავრებათ, და რომელნიც მოსულან მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოიხადონ ჩვეულების ვალი, და ისე კი გაერთონ, დრო გაატარონ. დასხდებიან სუფრაზე თუ არა ეს ცრუ მომტირლები, გაიმართება ხმა მდაბლად ალაგერდ-იახშიოლი, ხუმრობა-ლაზღანდარობა და ხშირად სალხინო ღიღინებიც.

ძლომასა და თრობას ბოლო აღარ უჩანს. განა ეს არის გულ-წრფელი ტირილი?! განა ეს მიიმჩნევა მიცვალებულის სულისა და ნაშთის პატივის ცემად, ჭეშმარიტ გლოვად და სამსახურად?!! თითქმის ამზომივე ხარჯი მისდის დაზარალებულ ოჯახს ორმოცის დღის შესრულების გამო დანიშნულს ტირილზე, ამ შემთხვევაშიაც ბლომად იერის თავს არა გულშემატკივარი მომტირლები, დაატანენ ძალას თავიანთ კუჭს, რაც შეიძლება მეტი მიიღონ გემრიელი სანოვაგე... ამით არ თავდება კიდევ ჭირისუფლების და მათი ოჯახის ზარალი, ხარჯი და დავიდარაბა, შესრულდება წელიწადი თუ არა, ინიშნება წლის გამოტირილი, ამ შემთხვევაშიაც მრავალი ხალხი იერის თავს; ფარისევლური გრძნობით შემოსილი მომტირლები ვითომც და მწარე ცრემლთა ღვრით ესალმებიან საუკუნოდ მიცვალებულს, მაგრამ სად არის ცრემლი?.. ამ გვარის ხარჯებით ისე ჯინდება ოჯახი, ისე იტვირთება ჭირისუფალი ვალებით, რომ იგი ვეღარ ასერხებს მიცვალებულის სულის სჯულიერს სამსახურს. ოღონდ ეს ფარისევლური ტირილი და ძველი ჩვეულების ხარკი გარდაისადონ როგორმე, და მეტის ღონე აღარაფრის რჩებათ, აღარც წირვა, აღარც ლოცვა მიცვალებულის სულის სასარგებლოდ, აღარც ბანაშვიდები და აღარც გაცემა ღარიბთა და გლახაკთა ზედამოწყალებისა, აღარაფერი... მხოლოდ თრობა, ძღომა და ფარისევლური ვაი, უის ძახილი და თავში ცემა, მორჩა ბ გათავდა... აი ამ გვარ ტირილის მოსპობას ურჩევს ჩვენს ხალხს გაზეთი „მწყემსი“. და ვისაც-კი ცოტაც არის ჭკუა-გონება უჭრის, ეს რჩევა დიდის თანაგრძნობით მისაღები და დასაჯერებელია.

ქაიხოსრო გელოვანი.

ორმოცდაათი წლის იუბილეის დღესასწაულობა კიევის მიტროპოლიტის იოანნიკესი.

კიევში 7 ამ თვეს დიდის ამბით იდღესასწაულეს კიევის მიტროპოლიტის იოანნიკეს 50 წლის სამსახური. კიევის ყველა ეკკლესიაში სადღესასწაულო ღვთის მსახურება იქმნა გარდახდილი და აგრეთვე სამადლობელი პარაკლისი. მიტროპოლიტი იოანნიკე მწირველად ჯვარის ეკკლესიაში ბრძანდებოდა. ნაშუადღევის პირველ საათზედ დაიწყო მილოცვა იუბილიარის სადგომში. წაკითხულ იქმნა 47 მილოცვის წერილი და ადრესი. პირველად წაიკითხა უმაღლესი რესკრიპტი უ-მიდესის სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგმა საბლერმა. უწმ. სინოდის მოლოცვა წაიკითხა მიტროპოლიტმა ვლადიმირმა. წაკითხულ იქმნა ადრესი პალესტინის საზოგადოებისა მისი უავგუსტოესის თავმჯდომარის სახელით. შემდეგ იუბილიარს მიულოცეს მრავალმა დეპუტაციამ, მიართვეს ადრესები და ხატები. დასასრულ სადილი იყო გამართული, რომელსაც 300 წვეული დაესწრო. პირველი სადღეგრძელო ბრძანა მიტროპოლიტმა იოანნიკემ და ადღეგრძელა ხელმწიფე იმპერატორი და სამეფო გვარეულობა, რომელსაც მრავალჟამიერის გალობა მოჰყვა ზართა რეკვით. დიდძალი სამღვდელოებაა დაესწრო 30 ეპისკოპოსი, მრავალი არხიმანდრიტი და რუსეთის სხვა და სხვა კუთხის სამღვდელოების წარმომადგენელნი იყვნენ მოსულნი...

9 ნოემბერს, საღამოთი, ლავრის მიტროპოლიტის სასახლეში შეიკრიბენ ოცდაორი მღვდელ-მთავარი და ობერ-პროკურორის ამხანაგი ვლადიმერ კ. საბლერი. აქ ამ კრებაზე მათ ქონდათ მსჯელობა სხვა და სხვა კითხვებისა ვამო. აი ეს კითხვები: 1) ზომები სექტანტების წინააღმდეგ საბრძოლველად და მესამე მაისს გამოკემული კანონის შეზღუდვა კანონმდებლობითი წესით; 2) ბაზრობის გადატანა სადაგ დღეებში; 3) ჯამაგირების დანიშვნა საღმრთო სჯულის მასწავლებლებისათვის სამრევლო სკოლებში; 4) კრების მოხდენა სხვა და სხვა ადგილებში ადგილობრივ მღვდელ-მთავრებთაგან იმ პირობით, რომ მათ მიენიჭოსთ უფლება დაბოლოებით გარდაწყვიტონ ზოგიერთი საქმეები; 5) მიეცეს ქორეპისკოპოსებს განსაზღვრულად საქმე მით, რომ პასუხიც მათ აგონ; 6) დაარსება ემირიტურის კასებისა ჯამაგირებიდან პროცენტის დაკავებით; 7) დაარსება საზოგადო ეპარქიის ან ეკკლესიების დაზღვევა ერთი ერთმანეთის პასუხის გებით; 8) განმარტება და გაწყობა ეპარქიის მღვდელ-მთავართა და ხუროთ-მოძღვართა შორის შენობის საქმეში, და 9) დანიშვნა განსაზღვრული ჯამაგირისა ბლაღოჩინების შრომისათვის ეკკლესიების ფულებიდან.

კიევის მიტროპოლიტი იოანნაკე.

პედაგოგიური შენიშვნები.

სკოლა არის ერთად ერთი საშუალება, რომლის შემწეობითაც ახალი თაობა ითვისებს განათლებას, იზრდება გონებრივად და ზნეობრივად და ამ გვარად მომავალი საზოგადოება უმჯობესდება. რამდენათაც სკოლის მნიშვნელობა დიდია, სამწუხაროდ, იმდენათ ძნელია მისთვის სასურველი ორგანიზაციის მიცემა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არსებობს რამოდენიმე ათასი წელიწადი, მისს სისტემას დღესაც მსხვილი ნაკლი აქვს. კაცობრიობას შეგნებული ქონდა სკოლის მნიშვნელობა და სცდილობდა მის ჯეროვანად გამართვას, მაგრამ დღესაც სურვილი აუსრულებელია და იმედი კიდევ მომავალ დროზეა მიმართული. დღეს, მაგალითად, როცა განათლებას შესამჩნევად აქვს ფესვი გადგმული და მისი ნაყოფი ყველასათვის თვალ-საჩინოა, სკოლები კიდევ არა სასურველ მდგომარეობაშია. კერძოთ, უნდა შევნიშნოთ, ჩვენში კიდევ ისეთი ნაკლი ეტყობა სკოლებს, რომელიც სხვაგან უკვე მოიშორეს, როგორც ბოროტება დროისა და შეცდომა კაცობრიობის გონებისა. ცხადია, რომ სკოლების წესწყობილების გაუმჯობესება და აგრეთვე მათი რადიკალური შეცვლა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებზეა დამოკიდებული, რომლის შესახებაც მსჯელობა ამ დროით ჩვენს პროგრამაში არ შემოდის. ჩვენ მხოლოდ გვსურს რამოდენიმე კითხვის შესახებ ჩვენი აზრი მოკლედ მაინც გაუზიაროთ მკითხველს.

I.

მასწავლებლის უმთავრესი მოვალეობა.

პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა მკაფიოდ გავითვალისწინოთ, რაში მდგომარეობს მასწავლებლის მოვალეობა. ყველა მოვალეობას მასწავლებლისას ჩვენ აქ არ ჩამოვსთვლით, მაგრამ უჩვენებთ მკითხველს უმთავრესს, რომელზედაც უმეტესად არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოკიდებული ბავშის გონებრივი ძალის განვითარება. რომ ცხადათ და მკაფიოდ დავინახოთ, რა არის მასწავლებლის უმთავრესი მოვალეობა და რაზედ უნდა იყოს განსაკუთრებით მიმართული მასწავლებლის ყურადღება, ამისათვის საჭიროა წარმოვიდგინოთ ბავშის სულიერი ბუნება, დავაყენოთ მაზედ ერთი შეხედულება და მისდა შესაფერად გავსაჯოთ კითხვა.

ბავშის სულიერ ბუნებაზედ სხვა-და-სხვა აზრის იყვნენ ფილოსოფოს-მეცნიერები. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ფიქრობდა, რომ ბავშის ბუნება წარმოადგენს თეთრს დაფას (ფიცარს), რომელზედაც რაცა სურს მასწავლებელს ანუ აღმზრდელს, იმას დასწერსო; ამის გამო უვიცად ანუ მეცნიერად გამოყვანა ბავშისა აღმზრდელზედ არის დამოკიდებული და აღზრდაც უტყუარი საშუალებაა მიზანის მისახწევადო. ასეთი აზრის იყვნენ ლოკკე, გელვეცი, რუსსო და სხვა. მრავალი წლის მაგალითებმა დაამტკიცეს, რომ ასეთი შეხედულება ბავშის სულიერ ბუნებაზე სიმართლეს მოკლებული იყო და ცალ-მხრივ იყო გადაჭარბებული. ეხლა ის აზრია მეცნიერებაში მიღებული უმეტესად, რომ ბავშის სულიერ ბუნებაში არის ჩასახული ყოველ-გვარი ნიჭი და აღზრდის საშუალებით ეს თანაშობილი ნიჭი თან-და-თან ვითარდება; ამასთანავე შენიშნულია, რომ თითეულს თან ჰყვება რაიმე განსაკუთრებითი მიდრეკილება, რომელიც ადრე თუ გვიან თავს იჩენს ბავშის ცხოვრებაში, ასე რომ კარგს აღზრდას არ შეუძლია, ის ჩანერგოს ბავშის სულიერ ბუნებაში, რაც მას თან არ დაყოლია და არც ცუდს აღზრდას შეუძლია ის სრულიად წაუშალოს და მოუსპოს, რაც თანაშობილი აქვს. ამ გვარად აღზრდა ითვლება მხოლოდ გარეგნულ საშვალებად. მართლაც, დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ბავში წარმოადგენს მარცვალს, რომელშიაც ჩასახულია მომავალი მცენარე; თუ მარცვალი ჩავაგდეთ მიწაში და იქ ხიმიური გავლენა გამოვაცდევინეთ, მაშინ იმ მარცვლიდგან ამოიზრდება მცენარე, ასე რომ მიწა ეხმარება მარცვალს, რომ მისგან აღმოცენდეს ის, რაც იმაშია ჩასახული. ამ გვარად მიწა გარეგანი საშუალებაა; აგეთივე მოვალეობას ასრულებს აღზრდაც; ის არის გარეგნული საშუალება, რომლის შემწეობითაც ბავშის თანაშობილი ნიჭი უნდა გამოვიწვიოთ სამოქმედოდ, მივსცეთ მიმართულება და მოვატანიოთ ნაყოფი.

ტ. ჯაფარიძე.

(შემდეგი იქნება)

განდეგილია

(ეპოკრითული ამბავი)

უდაბნოში განდეგილი
სულის საქმეს შესდგომოდა.
სამქვეყნო, სამირადო
„ვარხალალო“ არ ესმოდა.

—

მისი ქვეყნის ავსა და კარგს
იგონებდა... გულში ჭკრებდა,
და შემოქმედს მუხლ-მოდრეკით
წრფელის გულით ავედრებდა:

—

„ეს ქვეყანა ცოცხალ-მკვდარი,
დღეს რომ ქედი მოუხრია,
უბიწო და უგინებელ,
თვით ქალწულის წილ-ხვედრია!

—

„მართალია, დღეს ჯოჯოხეთს
თავისაკენ მიუმხრია,
მაგრამ ადრე, ვით მოწამეს
შენთვის სისხლი დაუღვრია.

—

„ნუ ამხიდებ გულის-წყრომით!..
მოიბრუნე მადლით გული!..
შეუნდვე მას შეცოდება!..
მიანიჭე სინანული!!

—

„და თუ მსხვერპლი საჭიროა,
ვითა წვდილი ქვრივის მტირე,
ნუ განმაგდებ!.. სხვებზედ უმალ
მიმიღე და შემიწირე!..“

—

ამ სიტყვებით გამოსთქვამდა
ტკბილ სურვილს და მწარ გულის-თქმას...
და ტრემლებსაც ასხურებდა
ზედ, ვით წმინდა ია ზმას!

—

ესმა უფალს ხმა ცოდვილის;
შეიწირა სამსახური!..
განდეგილის აღსარებას
ქვეყანამაც მოჰკრა ყური.

—

სთქვა: „ეს კაცი ცოდვილთათვის
ეგებ წინა-მორბედია?!..
და მაგის შორს-მჭვრეტელობა
მადლით ქვემო, ორბედია!!..

—

ჩაგულისხმდა, გამოერკვა,
მოაგონდა წინა-ხარი,
რომ თავს სდებდა ქვეყნისათვის
და იწვოდა ვით დამხარი.

—

განიზრახა კრინი მოძღვრის,
მიბაძვა და მიმდევრობა;
შეაჩვენა ძალი ქვენა!..
ადიარა ზესთ-მთავრობა!!

—

ამ ამბავმა ჯოჯოხეთი
აშფოთა!.. შავად ჭდელავს!
თვით სატანა, ტეტხლის მფრქვევი,
შესაზარად ჭქუხს და ელავს!..

—

მის წინ დგანან მოწიწებით
წვრილ-ფეხობა—ეშმაკები;
ჭკანკალებენ, უთრთის ყველას
კულ-ბრჭყალები, ნისკარტ-რქები!..

—

„ვერა ჭხელავთ—სთქვა—განდეგილს,
ქვეყნად წინ რომ მედობება!?
დამის დოტვით შარეიოს
ჩემი ძალა-მეუფება!..

—

„რალას უცდით? ადრე თუ სხვაც
დაგიდუპავთ მაგისთანა,
ჩემი რჩევა და ბრძანება
გეჭირვებათ კიდევ განა?

—

„შეიტვალეთ სულ სხვა-და-სხვად:
ჭიად, მატლად, ბაყაყ-გველად,
ბუზად, ხეპლად, ჭია-მურალად,
ბადიჯოდ და მორიელად!..

—

„მიესიეთ ყველა ერთად!
ნუ მისცემთ მას მოსვენებას!!..
გაჭირვება დაავიწყებს
ქვეყნის ვალს და ზეცის მცნებას!“

—

ასრულა წვრილ-ფეხობამ
ბნელ მთავრის სურვილ-ნება,
და მისტვივდნენ საწყალ-მდოცველს,
რომ არ მისცენ მოსვენება.

—

ჭირში მეოთმა დმერთს შეჭვედრა:
„თუ ეს შენი არის ნება,
შენვე მომეც მეც, უფალო,
იობისა მოთბინება!“

—

ჭებენენ, სჩხვლეტენ, გესლს ანთხევენ,
ჭაერს ბილწავს ჭია-მურალა,
მაგრამ ვერ სჭრის ძველებურად
უკუდმართი მათი ძალა:

—

იქვე ახლოს, უჩინარად,
სხივ-მოსილი იდგა ქალი,
განდეგილის მფარველ-მცველი,
ადმგზნებელი იდიალი!..

—

მოახსენეს უფროსს ბატონს:
„დიდებულო სატანაო!
ვერას გავხდით!.. მან შეიძლო
გაჭირვების ატანაო!!“

—

ეუცხოვა ეს ამბავი
ჯოჯოხეთის ბობოლასა;
ვერ იტანდა ძველი ძალის
ის ხელიდან გამოტლასა.

—

კვალად ჭბრძანა: „უარს ვერ ვჭეოფ
მე მაინც ჩემს საწადელსო.
და თქვენც, გირჩევთ, ნუ დაგდებთ
თქვენს საქმეს და საცადელსო!

—

„თუ ბირადად მას ვერ ავნებთ,
სხვებს ხომ მაინც მოსჭრით თვალსო?!
შეაშინებთ, რომ ვერ მიჭვევენ
განდეგილის გზა-და-კვალსო!“

—

ეს ბრძანება, სულ ახალი
ხელთ უბურიათ ეშმაკებსო,
და ვაი მას, ვინც სატანას
არ ადიდებს!.. არ აქებსო!!..

აკაკის „კრებულიდან“

სოფ. ძიმითის ორ-კლასიანი სკოლა.

(„მწყემსი“-ს კორრესპონდენტია).

ასული თთვის აგვისტოს „კვალი“-ს მე-30 №-ში დასტამბული იყო წერილი სოფ. ძიმითიდან (ოზურგეთის მაზრა), რომელშიაც კორესპონდენტი არა სასურველად იხსენიებდა ამ სოფლის ყოფილ მასწავლებელთა ბ. ლა—ვას და ხ—ვას, და დასძენდა, რომ სკოლა სწორედ სამწუხარო სურათს წარმოადგენს ამ ვაჟ-ბის ხელშიო... და რომ ბ. კორესპონდენტის შენიშვნა სიმართლეს ემსახურებოდა, ეს იქიდან ჩანს, რომ ბ-ნთ მასწავლებელთ არც ერთ ჟურნალ-გაზეთით და არც სხვა რამ საშუალებით თავი არ უმართლებიათ... მაგრამ, სასიხარულოდ ჩვენდა და ამ სოფლის მოზარდ თაობათა, ზემოხსენებულნი მასწავლებელნი ზოგიერთ პატივცემულ პირთა შუამდგომლობით გარდაყვანილ იქმნენ ბ. დირექტორის მიერ, და მათ ადგილზე განწესებულ იქმნენ ბ. ილ. გუნცაძე (მმართველი ორ-კლასიანი სასწავლებლისა) და მეორე მასწავლებლად ბ. კომახიძე (მასწ. თანამდ. აღმ.). ამ უკანასკნელზე ვერას ვიტყვით, რადგან იგი ახლად გამოსულია ამ ასპარეზზე. მას სწავლა მიუღია ოზურგეთის ოთხ-კლასიან სასწავლებელში. ხოლო ბ. გუნცაძე, როგორც მრავალთაგან გვსმენია, კარგი—რიგიანი მასწავლებელ-პედაგოგია, და სადაც კი ყოფილა იგი მასწავლებლად, ყველგან ჯეროვანი ყურადღება დაუმსახურნია საზოგადოებისა. სრული იმედი გვაქვს, რომ ბ. გ—ძე აქაც არ გამოიჩენს გულცივობას, არ დაზოგავს არავითარ შრომასა და ენერგიას თვისდამი რწმუნებული სკოლის ნორჩ-მოსწავლეთა გასაწვრთნელ-აღსაზრდელად, და ორივე მასწავლებელნი, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი იმოქმედებენ ერთად და არ დამარხვენ ნიჭს-ტალანტს იმ მონასავით, რომელსაც მოგვაგონებს იესო ქრისტეს იგავი, და პირნათლად აასრულებენ იმ დიად მოწოდებას, რომელიც არის მასწავლებლობა. და რომ მათს შრომასა და ღვაწლს დააფასებს აქაური მკვიდრი, და აქაურებს რომ სწავლა-განათლება სწყურიათ და მისი შეძენისათვის თავს არ იზოგვენ, ეს იქიდან ჩანს, რომ, მიუხედავად სიღარიბისა, მზად არიან მეორე ორ-კლასიანი სკოლის შენახვა იკისრონ... მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, მარტო სკოლების რიცხვი არა კმარა ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებისათვის... სკოლისთვის საჭიროა კარგი მმართველი, სწავლა-განათლების გულ-შემატკივარი, ჯეროვანად მომზადებული მასწავლებელი, როგორსაც მოითხოვს პედაგოგია, თორემ „ხ—ვა-ლ—ვების“ მსგავს მასწავლებელთა ხელში სკოლა ზიანის მეტს ვერავითარ სარგებლობას ხალხს ვერ მოუტანს....

ვინ არ იცის, რომ მასწავლებლის მოვალეობა უწმინდესია და უდიდესი. „მასწავლებელი, მზრდელი ყრმისა, მეორე შემოქმედია... რასაც ერთი მიჰმადლებს ბავშს, მეორემ უნდა წვრთნას და ჰზარდოს... თუ წვრთნა გინდა ბავშისა, შენ იგი უნდა ჩაისო გულში და იმან—შენ“. აი, როგორ ახასიათებს ერთი მწერალი მასწავლებლის მოვალეობას.

მართალია, დიდი შრომა და ენერგია დაჭირდებათ ბ. მასწავლებელთ, რომ გაასწორონ ის გამრუდებული გზა, (რომელიც უნდა ჩაითვალოს ყოფილ მასწავლებელთა ნაყოფად), რომ სასურველ ნიადაგზე დააყენონ ამ სკოლაში სწავლის საქმე, მაგრამ ნუ დაავიწყდებათ, რომ

„კლდეს ხვრეტავს წვეთი, თუ მუდამ
ერთს ადგილს დაედინების“...
შრომა, და წვრთნაი მოზარდთა
თქვენცა ნუ მოგეწყინების...

ბართლომე ალექსიძე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

«ვეტერბურგის გაზეთებში დაბეჭდილია მოწოდება ოლანდიის იმ კომიტეტისა, რომელსაც აზრად აქვს დასმარება აღმოუჩინოს სამხრეთ აფრიკაში ბრძოლის ველზედ დაჭრილ ბურებს. მოგვეავს აქ სიტყვა-სიტყვით ეს მოწოდება»:

«ყოვლის მხრიდგან გაისმის: ვინ არიან ეს ბურები, რომელნიც რიცხვით 200,000 არ აღმატებიან და რომელთაც გადასწყვიტეს წინააღმდეგობა გაუწიონ უძლიერესს სახელმწიფოს დედა-მიწის ზურგზედ და სისხლი დაჭვარონ თავიანთ დამოუკიდებლობისათვის?

ისტორია ამ ბურების ზღაპარსა ჭკავს. ჩრდილოეთის ზღვის ნაპირზედ მდებარეობს პატარა ოლანდია. შრომის მოყვარე და მამაცი ხალხი, ზღვასთან განუწყვეტელ ბრძოლაში გამოჯეკილი, ერთგულად ედგა მიწის მოვლა-დამუშავების საქმეს. ეს ხალხი მუდამ ემორჩილება თავისს მთავრობას, მაგრამ როდესაც მე-XVI საუკუნეში უცხო ქვეყნელთ, იქ ძალად შესულთ, მოიწადინეს ხალხისთვის ჩამოერთვათ იმ წესით ღვთის ვედრების უფლება, რა წესითაც მათი მამა-პაპანი ევედრებოდნენ, ყველანი, როგორც ერთი კაცი, ფეხზედ წამოდგნენ და მახვილით ხელში მტერს შეებრძოლნენ სარწმუნოებისათვის. ულარიბესნი მათ შორის, გეზნი, კაპის ოლქში გადასახლდნენ, სადაც საფრანგეთიდგან გადასულ უგენოტებთან ერთად შეჭქმნეს ახალი სამშობლო და სადაც გულ-ოდგინედ შეუდგნენ მიწის დამუშავებას, საქონლის მოშენებას და მეღვინეობას. სახელად ამ ხალხს ბურები უწოდეს (ბოერი—გლეხი). იმათ ძარღვებში ჯერ კიდევ მოიპოვება მე-XVI საუკუნის გმირთა სისხლი. იმათ დღემდის არ ულალატნიათ იმ დედა-აზრებისთვის, რომელიც აფრთოვანებდა მათ მამ-პაპათა. კაპის ოლქიდგან განდევნილნი ბურები თავიანთის ცოლ-შვილით უდაბნოში გადავიდნენ და 1840 წელს ნატალში დასახლდნენ, მაგრამ იძულებულნი გახდნენ აქედგანაც წასულიყვნენ ჩრდილოეთისკენ, სადაც 1858 წელს დაარსეს ტრანსვალი და ორანჟეს რესპუბლიკა.

დღეს, ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში, ბურები სისხლისაგან იცლებიან. თავსა სდებენ და წუთი-სოფელს ესალმებიან ოჯახის მამანი, ხოლო მათი ცოლ-შვილნი უპატრონოდ რჩებიან. როგორც ოლანდიაში მიღებულ ცნობებიდგან სჩანს, ბურები ყველაფერს საჭიროებენ: სამკურნალო დახმარებას, დაჭრილთა მოვლა-პატრონობას, ობოლთა გამოკვებას.

გვიშველეთ, მოისმის ჩვენამდე ხმა-ბალალი ძახილი სამხრეთ-აფრიკიდგან. გული ეწვის კაცს, როდესაც ამ თავგანწირულ მებრძოლთ უყურებს. „გვიშველეთ!“ დაყოვნება შეუძლებელია... ამავე სტუდბით მიმართავს კომიტეტი ბურების ყველა მეგობარს რუსეთში. ჩვენს მეორე სამშობლოში, რუსეთში, კარგად ვიცით, რომ გაჭირვების დროს შემწე და დამხმარე ყოველთვის აღმოჩნდება. შეუმსუბუქეთ ტანჯვა დაჭრილთა, ქვრივთა და ობოლთა. თავმდები ვართ, რომ დახმარება დანიშნულებას არ დაჭკარგავს. კაცთ-მოყვარეობის სახელით მივმართავთ თქვენს გულს.

შემოწირულება ამ ადრესით უნდა გაიგზავნოს: ვეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 20, პასტორს გილლოტს;

ბურების დამხმარებელი ჰოლანდიელთა კომიტეტი.

ოლანდიელთა მრევლის პასტორი გ. გილლოტი.

წმიდა მოციქულთ სწორის ნინოს სახელის პატივისცემა საფრანგეთში.

საფრანგეთის პატივცემულმა მეცნიერმა და მოგზაურმა ბარონ დებაიმ, რომელიც ამ ჟამად ტფილისში იმყოფება, გარდმოგვცა ჩვენ საინტერესო ცნობები წმ. მოციქულთ-სწორის, საქართველოს განმანათლებელის ნინოს სახელის დღესასწაულის შესახებ საფრანგეთში და განსაკუთრებით შამპანიაში, სადაც არის დებაის გვარეულობათა ციხე; ამ ციხის დღეინდელმა მფლობელმა უწყის, რომ რეიმის და შალონის ეპარქიებში და სხვაგანაც არიან ბევრი ეკკლესიები, რომელნიც აღშენებულნი არიან ერთი წმიდა ქრისტიანე ქალის სახელზე, რომელიც მთელს შამპანიაში ფრიად პატივცემულია. თურმე ეს წმიდა ქრისტიანე ქალი ყოფილა წმ. ნინო.

მას შემდეგ, რაც საფრანგეთში გავრცელდა ამ მეცნიერის ბარონის **Д**ებაის **წ**იგნაკები, რომლებშიაც აღწერილია ჩვენი საქართველო, ამ წიგნაკების ავტორს უნახავს რეიმის მთავარ-ეპისკოპოსი, რომელსაც უთქვამს, რომ ხსენებული წმიდა ქრისტიანე ქალი და წმიდა ნინო ერთი და იგივე პირი უნდა იყოსო. ამ მთავარ-ეპისკოპოსის სიტყვებს ბარონ **Д**ებაიში აღუძრავს ცნობის მოყვარეობა და ისიც შედგომია ხსენებული კითხვის გამორკვევას.

წმიდა ქრისტიანე ქალი, განმანათლებელი ივერიისა, წოდებული რომაელ-კათოლიკეთა კალენდრებში წმიდა ქალწულად, ჩაწერილია რომის ეკკლესიაში 15 დეკემბერს ახალი სტილით. ამ წმიდა ქალწულის ცხოვრება აღწერილია **რ**უფინის მიერ († 410 წელში), რომელსაც საჭირო ცნობები ამ ქალწულის შესახებ შეუკრებია ივერიელი თავადისაგან, რომელსაც შეხვედრია იგი იერუსალიმში. **რ**უფინი, რომელსაც შემდეგ დავიწყნია წმ. ნინოს სახელი, ქართველი თავადის მიერ მოთხრობილ წმ. ქრისტიანე ქალს უწოდებს ტევე ქრისტიანე ქალს. შემდეგი დროის ყველა რომაელი სასულ. მწერალნი ამ ქრისტიანე ქალწული ქალის ცხოვრების აღწერის დროს სარგებლობდნენ **რ**უფინის მოთხრობით, და ამ წმ. ქრისტიანე ქალს სახელსაც იგივეს უწოდებდნენ, ანუ, როგორც **З**ეროპიუსი, უწოდებდნენ წმ. ნინოს. შემდეგ, შეცდომით, წმ. ნინოს უწოდებდნენ შემდეგ სახელს: „წმიდა ქრისტიანე ქალწული ქალი". ბოლოს ეს საზოგადო სახელი შეიქნა საკუთრებითი სახელად და დამკვიდრდა შამპანიაში.

შარდენი თავისი მოგზაურობის აღწერაში (XVII საუკუნეში) საქართველოს განმანათლებელს უწოდებს *Ніне* ანუ *Ніноне*. როცა აკადემიკოსმა ბროსემ 1849 წელს გამოაქვეყნა თავისი ნათარგმნი ქართლის ცხოვრება,—მაშინ ყოველივე გამოირკვა. ახლა ცხადათ სჩანს, რომ წმ. ნინო და ხსენებული წმ. ქრისტიანე ქალწული ქალი არა თუ ერთმანეთის მზგავსნი პირნი არიან, არამედ ერთი და იგივე პირი ყოფილან როგორც ჩანს **რ**უფინის და ქართლის მატიანეს მოთხრობით (დედოფლის სალომეს, მღვდლის აბიათარის და წმ. სიდონიას მოწმობის ძალით). ამის შემდეგ რომაელ-კათოლიკეთა სასულიერო მწერლებმა საფრანგეთში პატივ-ცემული ქრისტიანე ქალწულ ქალს უწოდეს მისი ნამდვილი სახელი—წმ. მოციქულთ სწორი ნინო. ამ კითხვის შესახებ მუშაობდნენ სახელდობრ, მ. მარტინოვი, მ. გაკარინი და მ. დარა.

„ამ სახით", დაასრულა თავისი მოთხრობა პატივცემულმა საფრანგეთის მოგზაურმა—„მე მიყვარს შვენიერი საქართველო არა მარტო მისი მომხიბლავი ბუნებისა და მის სახელოვან შვილთა გამო, არამედ ამასთან ერთად მიყვარს იგი იმიტომაც, რომ ჩემი სამშობლო დიდ პატივსა სცემს წმ. ნინოს სახელს!"

გზა მღვდლოგისაკენ.

(რუსულიდან)

გაგრძელება *)

—მ. სიმონ, თქვენ გსურთ გაამტყუნოთ მამა იაკობი—მშვიდობის მოყვარული კილოთი წარმოთქვა მ. ალექსიმ.

—ყველა თავისებურად ფიქრობს, თითოეულს თავისი ენერგია აქვს. თუ მე და შენ მთელი ჩვენი სიცოცხლე გავატარეთ, არ ვცდილვართ უფრო კი ადგილის შოვნას, და ჩვენი ცხოვრების მიზანს ვხედავდით მცირე საქმეში, არ შეიძლება კანონად დაუდგინოთ სხვებსაც ის, რაც ჩვენ მოგვწონდა და ან მოგვწონს. არ შეიძლება ვუსაყვედუროთ მამა იაკობსაც, რომ ის წინააღმდეგია იმ მიმკვდარებული ცხოვრებისა, რომელიც, სამწუხაროდ, შენიშნულია სამღვდელოთა შორის. დღეს ახალგაზდა სამღვდელოება ცდილობს წინ ფეხის გადადგმას, თან მისდევს ცხოვრებას, და ჩვენ, მ. სიმონ, უნდა გვიხაროდეს, რომ ჩვენი მოადგილენი წინ წასწევენ სამღვდელოებას, გაამართლებენ უდიდეს დანიშნულებას, რომელიც უხსოვარ'ს დროიდან ვალდებულებას შეადგენს ეკკლესიის მოსამსახურეთა; დღეს ახალგაზდა სამღვდელოთა შორის მოიპოვებიან მრავალნი, რომელნიც აღჭურვილნი არიან ენერგიით და მაღალი ზნეობით». ყველანი ყურადღებით ისმენდენ ამ მოხუცებული მღვდლის სიტყვებს.

—დიახ, საოცარი და მძიმე ცვლილებანი ხდებიან ჩვენ სულიერ მოღვაწეობაში,—დაღონებული სახით გააგრძელა სიტყვა მ. ალექსიმ.—ხასიათი ჩვენი ძველი მღვდლური მოღვაწეობისა, რომელიც აღჭურვილი იყო გულწრფელი სარწმუნოებით და მტკიცე სარწმუნოებრივი რწმენებით, რომელნიც ასე კეთილ ნაყოფიერად მოქმედებდენ სამწყსოთა ზედა ჩვენს დროს,—დღეს გამოუსადეგია თითქმის.... სარწმუნოების კრიტიკულად შინჯვა-ჩხრეკა ნასწავლ პირთაგან უსწავლელებზედაც გავრცელდა.

—„დღეს ყველანი ელიან მღვდლისაგან გადაწყვეტას სარწმუნოების ისეთი კითხვებისას, რომელნიც დაფუძნებულნი არიან საღმრთო წერილზე, ანუ ზნეობრივ ჭეშმარიტებათა ზედა, და რომელნიც შეურყეველნი არიან და გამოსადეგნი ცხოვრებაში. დღეს ხალხში აღარ არის ბავშური სარწმუნოება ღვთისადმი, რომელიც არა-ვითარ დამტკიცებას არ ითხოვს, როგორ სარწმუნოებასაც მოითხოვს უფალი.

—მ. დეკანოზო, მაპატიეთ, რომ მე სიტყვას გაწყვეტინებთ. მაშასადამე, თქვენ გჯერათ, რომ ჩვენ დროში მღვდელი უნდა იყოს კარგი მოსაუბრე და პოლემიკური წერილების მწერალი?» გიგო მოუთმენლად ელოდა პასუხს.

—მთლად კი არა, ახალგაზდა ყმაწვილო, ამას ვინ მოგახსენებს; ძაგრამ მასწავლებლობა და სიყვარულობით და მორჩილებით ღვთის სჯულის სინამდვილით სწავლება,—უნდა შეადგენდეს მღვდლის პირდაპირ მოვალეობას“. შეიქნა საზოგადო ბაასი. ისეთი კითხვაც კი აღიძრა, რომელიც უმეტესობისათვის გაუგებარი იყო, ხოლო ზოგთათვის სადავო. პირველთ სურდათ გაეგოთ საუბრის დედა აზრი, და ისმენდნენ სხვების პასუხს, რომელნიც არ ეთანხმებოდნენ მწყემსთა მათ მოღვაწეობაზე. მივიდა გიგოსთან მ. იაკობი, რომელიც მიზეზი შეიქმნა ამ გაცხარებული ლაპარაკისა.

—გიგო პეტრეს ძევ, წავიდეთ მ. პავლეს საკითხავ ოთახში. მე მსურს თქვენ გესაუბროთ სულის შესახებ“. ასეთი წინადადება სრულებითაც არ ეუცხოვა გიგოს. იგი ჯერ კიდევ ერისკაცობაში იცნობდა მ. იაკობს, და როცა გიგო სემინარიაში გადავიდა, და მ. იაკობმა თავისი მოკლე ტანსაცმელი გამოცვალა გრძელზე, ამ დროს ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთიერთმანერთს მ. ივანეს და მ. პავლეს სახლში, სადაც ხშირად იყო ხოლმე მ. იაკობიც. უკანასკნელი ძლიერ დიდის სიამოვნებით ისმენდა სემინარიაში მომხდარ ცვლილებათა როგორც მოსწავლეთა ცხოვრებაში, ისე მასწავლებელთა შესახებ. ყველა ამ ამბებს მ. იაკობი ტყობილობდა გიგოსაგან. მ. იაკობმა თავისუფლად მოიკალათა დივანზე და სრულებით არ უჩქაროდა საუბრის დაწყებას. რაღაც გაუბედაობა იხატებოდა მის თვალებში, და ამასთან ერთად, ის მხიარული და გაოცებული სახით უცქეროდა გიგოს, რომელიც ცდილობდა გამოეცნო მ. იაკობის აზრი. გიგომ, თითქმის, გამოიცნო, თუ რაზე უნდა ესაუბრნათ...

*) იხ. «მწყემსი», № 1899 19 წ.

—მაპატიეთ, გრიგოლი პეტრეს ძევ,—დაიწყო მ. იაკობმა,—შეიძლება, ჩემი ჩარევა თქვენს საქმეებში უადგილოც იყოს, მაგრამ არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვითხრათ, რადგან სულ პატარაობიდგან გიცნობთ, მინახავხართ, როცა მოწიფული ყმაწვილი იყავი, ვიცი თქვენი აზრი და ხასიათი, და აი ახლა თქვენ სრულიად ზზად ხართ, რომ გზას დაადგეთ»... გრიგოლი ყურს უგდებდა.

—აი მე, რომელიც თქვენზე ადრე შეუდეგი მაგ გზას, მინდა გიჩვენოთ თქვენ, თუ როგორია ეს გზა და როგორ უნდა მოემზადო, რომ ამ გზაზე არ მოიქანცო, არ დავარდე შუა გზაზე და მწუხარებით არ დაიწყო უკან ცქერა და სასოწარკვეთილებას არ მიეცე. შეიძლება თქვენ ფიქრობთ, რომ ძველი მღვდლები უკეთესად დაგიხატავენ მღვდლობის მოვალეობის სიძნელეს?" გრიგოლი ხმას არ იღებდა.

—„არა, მე უკეთესად შემიძლია გიამბოთ ყოველივე. მოხუცებულებს შეიძლება კიდეც დაავიწყდათ ახალგაზდობაში გამოცდილი შთაბეჭდილებანი და გარდა ამისა ისინი თავიანთი მომზადებით ხომ ისეთები არ იყვნენ, როგორც ჩვენ—ახალი დროის ხალხი. ძნელია მღვდლობის გზა, გრიგოლი პეტრეს ძევ, ძრიელ ძნელია. ჩვენ ულონო კაცობრიულ ბუნებას არ უყვარს ეს გზა. მე გამოვცადე (შეიძლება შენც გამოცადო), თუ რა სასტიკი ბრძოლა იწყება სხეულსა და სულს შორის, როცა პირველად შეუდგები ეკკლესიურ ცხოვრებას. რა ღონე და ენერგიაა საჭირო, რომ ქვეყნიური დაივიწყო და შეუდგე სარწმუნოების საქმეს. ჩვენი სხეული ხმამაღლად ღაღადებს, წინ გვიშლის თვით, ერთის შეხედვით, სამართლიან საბუთებს სულის კანონების წინააღმდეგ. ჩვენი სხეული გვიხატავს ჩვენ ცხოვრების სულ სხვაგვარ პროგრამას, რომელიც, ერთის შეხედვით, თითქო არც კი ეწინააღმდეგება სარწმუნოების მოთხოვნილებათ. მაგრამ ეს სხვა კი არაფერია, გარდა იმისა, რომ სხეულს სურს დაახშოს ლტოლვანი სულისა, თავისკენ გადმოიბიროს, ბოლოს სძლიოს კიდეც მას და შემდეგ შეიქნეს კაცის მთელ სურვილთა და მისწრაფებათა უფროსად. მე იმედი მაქვს, გრიგოლი პეტრეს ძევ, რომ თქვენ გესმით ჩემი აზრი და ამიტომ კიდევ ვაგრძელებ ჩემ საუბარს. და თუ, მართლა, სხეულმა სძლია სულს, შემდეგ სხეული მთლად გაბატონდება და მის მოთხოვნილებათ დასასრული არ ექნება. სხეული თვალწინ წამოგიყენებსთ სასურველ მხარეებს იმ ცხოვრებისას, რომელიც თქვენ სრულიად უნდა მიატოვოთ, როგორც კი მღვდლად ეკურთხებით. სხეული ეცდება თქვენს გულში აღძრას წარსული ცხოვრების სიამოვნებანი და მასთან სინანული, რომ მღვდლობაში თქვენ მოკლებული იქნებით მსგავს სიამოვნებათა; სხეული დაგიწყებთ თქვენ ხანგრძლივ ბრძოლას და ხან კიდეც გძლევთ. ღმერთმა ნუ ინებოს, რომ თქვენს სულს მრავალ გზით სძლიოს თქვენმა სხეულმა! ამისთანა წამის დროს თქვენ გამოცდით ისეთ მწუხარებას, ისეთ სასოწარკვეთილებას, ისეთ სინანულს, რომ მღვდლად წახვედით, რომ ამ მდგომარეობაში არაფერს არ შეუძლია თქვენი ნუგეშის ცემა. ეს ბრძოლა შინაგანია, და რალას იტყვით იმ თვალით ხილულ და ყურით გასაგონარ ჩხუბზე, რომელსაც მრავალნი გვიქადიან ჩვენ სამღვდელოთ?.. ერთი ყური დაუგდეთ, თუ რას ლაპარაკობენ ჩვენზე. ჩვენ გვეძახიან ხარბს, გაუმაძღარ ხუცესებს, ჩვენ გვეძახიან გაუთლელთ, გაუნათლებელთ; ბევრნი ისეთებიც არიან, რომ მღვდელთან ან ბერთან შეხვედრის დროს უკადრისად იღმიჭებიან, სიტყვა „ხუცესი", „ბერი" მათთვის რაღაც უსიამოვნო გასაგონია. ეს დაუმსახურებელი შეურაცხებანი პირველად ადვილი ასატანია, შემდეგ კი საგრძნობელნი ხდებიან, გულს გიწყლავენ... ამ სახით, გრიგოლი პეტრეს ძევ, მე თვალწინ დაგიხატეთ სამწუხარო, გარეშე პირთაგან შეუნიშნავი იარები, რომელნიც უსათუოდ აღიძრებიან თქვენს სულში, როცა მღვდლად იქნებით. ეხლა, თუ კი თქვენში გრძნობთ ძალას, თუ თქვენში პოებთ საომარ საშუალებათ, რომ მედგრად დაუხვდეთ შინაგან და გარეშე მტერთ, მაშინ გაკურთხოს-მცა თქვენ შეფალმა.

გრიგოლი მთლად ანთებული იყო.

(გაგრძელება იქნება).

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საღვთისმეტყველებასა და კეთილმსახურებაზე.

როგორ უნდა იდგეს ეკლესიაში ლოცვისა და წირვის შესრულების დროს.

როცა ეკლესიაზე მიდიხარ, უნდა წარმოიდგინო, რომ შენ მიხვალ არა რომელიმე უბრალო სახლში, არამედ ღვთის სახლში, დიდების მეფის სახლსა შინა, სადაც სრულდებიან დიდნი საიდუმლონი და ამიტომ შიშით და კრძალულებით უნდა შეხვიდე ტაძარში: ვინაიდგან ანგელოსნი წერენ ტაძარში შემსვლელთ და გამომსვლელთ.

როცა შეხვალ წმიდა ტაძარში, და ამორჩეულს ადგილს დადგები, გონება აღიმაღლე ზეცისადმი და თაყვანი ეცი უფალსა მაცხოვარსა ჩვენსა, და ეამბორე მის წმიდა ფერხთ, ოხვრით და ცრემლით შეეევედრე მას, როგორც მეძავი იგი ქალი ცოდვების მოტევებას; რქვი მას: „ღმერთო, მოწყალე მექმენ მე ცოდვილსა“. და როგორც მეზვერე, სდექ ერთ ადგილს ყურადღებით, ერთგულად ისმინე კითხვა და გალობა.

როცა დგახარ ტაძარში მწუხრზე, ანუ ცისკარზე, ანუ წირვაზე, და მთავარ-დიაკონი ანუ მღვდელი იტყვის: „მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ», მაშინ იცოდე, რომ ყველა იქ მდგომარეთ გაცნობებთ იგი, რომ ერთსულობით შეევედროთ უფალსა; ამიტომ არც შენ უნდა ჩამორჩე სხვებს, არამედ ყურადღებით განიმეორე შენ თავად: „უფალო, შემიწყალე“. და ისმინე, რასაც მთავარი ანუ მღვდელი შესთხოვს უფალს, და შენც იგივე სთხოვე იმავე სიტყვებით: „უფალო შემიწყალე“. და სადაც საჭირო იქნება, სთქვი შენ თავად: „მომმადლე უფალო“.

როცა კითხულობენ: „მოვედით თაყვანი ვსცეთ“, ანუ „წმიდაო ღმერთო“-ს და სხ. სამ გზის თაყვანი ეცი და შენს გულში ჩუმათ იმეორე იგივე ლოცვები.

როცა კითხულობენ, ანუ გალობენ „ალილუია“-ს სამ გზის, შენც ამ დროს სამჯერ თაყვანი უნდა სცე და შენს გულშივე უნდა იმეორებდე ამავე ლოცვას.

როცა მღვდელი ანუ მთავარი წარმოთქვამს: «თავნი თქვენი უფალსა მოუდრიკეთ“, მაშინ შენც მოიხარე თავი ლმობიერად და იგივე ლოცვა შენს გულში წაიკითხე: «შენ უფალო, ღმერთო ჩემო, თავსა ჩემსა მოვიხრი და ვაღვიარებ: შეგცოდე, უფალო, ვსცოდე შენს წინაშე და არა ვარ ღირსი შეგეევედრო მოტევება ცოდვათა. მაგრამ შენ, როგორც კაცთ-მოყვარე, მომიტევე მე როგორც უძღებ შვილს. ვითარმედ მეზვერე, განმამართლე მე, და როგორც ავაზაკი ღირს მყავი მე შენი სასუფევლისა».

როცა იტყვის მღვდელი: «მშვიდობა ყოველთა», მაშინ თაყვანი ეცი და საიდუმლოდ თქვი: „სულისაცა შენისათანა“.

როცა მიდიხარ ეკლესიაზე წირვის მოსასმენად, მაშინ აუცილებლად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღებით აღიჭურვო, ვინაიდგან წირვაში გამოხატულია მაცხოვრის ქვეყნად მოსვლა ჩვენს საცხოვნებლად, ე. ი. ქრისტეს განხორციელება, მისი მოგზაურობა საქადაგებლად, მისი სწავლა, მისი ვნებანი, მისი დასაფლავება, აღდგომა და ამაღლება. ამიტომ როცა მღვდელი იტყვის: «კურთხეულ არს მეუფება მამისა, და ძისა და სულისა წმიდისა“, შენ თაყვანი ეცი, რაც კი შეგიძლია, განხოციელებულ ქრისტეს და მადლობდე მასს, რომ მისი განხორციელებით ვცანით ჩვენ საიდუმლო წმიდისა სამებისა. და როცა გალობენ: „მხოლოდ შობილი ძე და სიტყვა ღვთისა“ და სხ. მაშინაც სიხარულით და მადლიერის გულით თაყვანი ეცი ქრისტეს, ვინაიდგან ამ სიტყვებში გამოხატულია ქრისტეს ქვეყნად მოსვლა.

როცა მღვდელი მარტო ანუ მთავარ-დიაკონი-თურთ გამოდის საკურთხევლიდან წმიდა «სახარებით“, აქაც ლმობიერებით თაყვანი ეცი ქრისტეს და მტკიცედ გაქვნდეს გონებაში სახარების სიტყვები, ვინაიდგან საკურთხევლიდან ეკლესიაში სახარების გამოსვენება, მოასწავებს ქრისტეს საქადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებლად გამოსვლას; სანთელი, რომლითაც სახარებას მოუძღვიან წინ, გვიჩვენებს სახარების წიგნისადმი პატივისცემას, ამავე დროს ეს სანთელი მოასწავებს იოანე წინამორბედს, რომელზედაც თვით ქრისტე იტყვის: „იგი იყო სანთელი აღნთებული და საჩინო. ესევე სანთელი მოასწავებს, რომ სჯული ღვთისა და სახარება არიან ლამპარნი ჩვენ ფერხთა წინაშე.

სამოციქულოს კითხვა მოასწავებს წმ. მოციქულთა ქადაგებას, რომელნიც იესო ქრისტემ წარგზავნა საქადაგებლად, როგორც ეკკლესიაც გალობს: „წარვგზავნე მე ისინი საქადაგებლად და მათ მშვიდობა შენი მოუთხრეს ქვეყანას“.

როცა სამოციქულოს წაკითხვის წინ გალობენ „წმიდაო ღმერთო“-ს და სხ. შენც ლმობიერებით ეევდრე ყოვლად წმიდა სამებას, რათა ღირსი გყოს შენ, რომ ქადაგება წმიდა მოციქულთა, რომელთაც გვამცნეს ჩვენ მშვიდობა ღა ყოველივე კეთილი, სასარგებლოდ გეყოს შენ.

როცა სამოციქულოსა და სახარებას შუა იქნება კმევა, ეს ნიშნავს, რომ სიტყვა ღვთისა არის სუნნელება, რაზედაც წმიდა პავლე მოციქული იტყვის: „რამეთუ ქრისტეს სუნნელებანი ვართ ღვთისა მიერ“ (ბ კორ. 2, 15). როცა წმიდა სამოციქულოს წაკითხვის შემდეგ გალობენ „ალილუია“-ს, შენც მადლობდე უფალსა, რომ ღირს გყო შენ წმ. მოციქულთა ქადაგების მოსმენისა. ხოლო სიტყვა: „ალლილუია» არის ებრაული და ნიშნავს: „აქებდით უფალსა“. სამოციქულოს შემდეგ იკითხება სახარება მსგავსად იმისა, როგორც იესომ წარგზავნა მოციქულნი საქადაგებლად, და თვითონაც ქადაგებდა და იქმოდა სასწაულთა.

ამასთან იმასაც უგდე ყური, რომ ტაძარში ღვთის მსახურების დროს იკითხება სხვა და სხვა ადგილები საღმრთო წერილიდან იმიტომ, რომ მორწმუნეთაც არ დაივიწყონ საღმრთო წერილის კითხვა და მასთან შიშით და კრძალულებით მოისმინონ, როცა იგი იკითხება.

როცა სახარების წინ ანუ მისი წაკითხვის შემდეგ გალობენ: „დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა», შენც მადლობა შესწირე უფალს და იგივე იგალობე.

როცა „რომელი ქერუბიმთა“-ს საგალობელის წინ იტყვის მთავარ-დიაკონი ანუ მღვდელი: «კათაკმეველნო, განვედით“, შენს თავს დაუფიქრდი, შენც ხომ კათაკმეველთა შორის არა ხარ, თუმცა ნათლისღებით განათლებულ ხარ; აქ კათაკმეველთ უბრძანებენ ტაძრიდან გავიდნენ, ვინაიდგან ისინი ღირსნი არ არიან იყვნენ ტაძარში იმ დროს, როცა სრულდება უსისხლო მსხვერპლი. «კათაკმეველი» ნიშნავს იმ კაცს, რომელიც სწავლობს მართლ-მადიდებელი ეკკლესიის დოღმატებს, მაგრამ ჯერ ნათლისღება არა აქვს მიღებული. ამიტომ უწინდელს დროში, მთავარ-დიაკონი „რომელი ქერაბინთა“-ს საგალობლის დაწყებამდე, წარმოსთქვამდა: „კათაკმეველნო განვედით“, ისინიც გადიოდნენ ტაძრიდან. შენც შენს თავზე იფიქრე: შენც ხომ კათაკმეველი არა ხარ? შეიძლება შენც კათაკმეველთა თანა ერთად უნდა გახვიდე ტაძრიდან? უსათუოდ უნდა გახვიდე ტაძრიდან, თუ რამე სასიკვდინე ცოდვა ჩაიდინე ღვთის წინაშე; ამიტომ როცა არ გადიხარ ტაძრიდან, თავი მოიხარე უფლის წინაშე, ამოიოხრე გულით და ცრემლით შეევედრე უფალს, რომ მან შენ ულირსად მდგომი წმიდა ტაძარში, თავისი მართლ-მსაჯულებისაებრ არ დაგსაჯოს შენ. როცა იწყებენ, „რომელი ქერაბიმთა“ საგალობელს, ლმობიერებით წაიკითხე დავითის მოსანანებელი ფსალმუნი: „მიწყალე მე უფალო, მრავლითა მოწყალებითა შენითა“ და სხ.

თუ ამ ფსალმუნის წაკითხვა ადრე გაათავო, მაშინ შეგიძლია წაიკითხო შემდეგი: «ღმერთო განმწიდე მე ცოდვილი, რამეთუ არას დროს არ მიქმნია კეთილი შენს წინაშე, მაგრამ მიხსენ მე ბოროტისაგან, და იყოს ჩემში ნება შენი, რათა არა დასასჯელად განვალო ბაგენი ჩემნი ულირსნი, და ვაქებდე წმიდასა სახელსა შენსა, მამისა და ძისა, და სულისა წმიდისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

როცა იქნება დიდი გამოსვლა, შენ მოხარე თავი, თუ წირვა პირველ შეწირული არ არის და თუ პირველ შეწირულია, და წმიდა ნაწილებს მოასვენებენ, მაშინ დავარდი მიწაზე და გულში წაიკითხე: მომიხსენე, მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა; მომიხსენე მე მეუფეო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა; მომიხსენე, მე, წმიდაო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა; ვინაიდგან ეს გამოსვლა მოასწავებს ქრისტეს გამგზავრებას გოლგოთას მთაზე ჯვარზე სავნებლად; და აქ შენ მოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონე ის, თუ როგორც ივნო მან აქ ჩვენთვის, და გონება მიაპყარ ამ მაცხოვარებითი მოქმედებას, ისე იფიქრე, ვითომ ქრისტე შენი თვალის წინ მიდიოდეს, და აღიმაღლე გონება, და თაყვანი ეცი იმას; ნაცვლად ტანთსაცმელისა მის წინაშე დააგე შენი გული, რათა მან თავისა მიმოსვლით მოარბილოს იგი, და იქიდან წარმოდინდეს წყარონი ცრემლთა, რომელნიც მოგვანიჭებენ ჩვენ საუკუნო ცხოვრებას.

როცა მღვდელი იტყვის: „და ყოველნი თქვენ მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი მოგიხსენოთ უფალმა ღმერთმა სასუფეველსა თვისსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე» და შევა საკურთხეველში; შენ ხელახლა თაყვანი ეცი, რაც კი შეგიძლია, ვინაიდგან ეს მოქმედება მოასწავებს ქრისტეს ჯვარიდან გარდამოხსნას და ჩასვენებას საფლავში.

როცა კითხულობენ: „მრწამს ერთი ღმერთი“ და სხ., შენც შენს გულში ლმობიერებით წაიკითხე ჩუმად ესევე ლოცვა; როცა გაათავო, თაყვანი ეცი ლმობიერებით და შემდეგ დაიწყე: «დამამკვიდრე, მე, უფალო, ამ ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა ზედა, და მომეც მე ძალა დასრულებამდე ვიდგე მას შინა».

როცა მღვდელი იტყვის, «ზე გვაქვნდინ გულნი“ და მგალობელნი გალობენ: „გვაქვს უფლისა მიმართ»; შენ შენი გონება აღამაღლე ზეცისაკენ და მადლობდე უფალსა ყველა მიაი სიკეთისათვის, რომლითაც ყოველსა დღესა, საათსა და წამსა სიამოვნებ შენ.

როცა მღვდელი იტყვის: „მგალობელნი, მხმობელნი“ და სხ. ხოლო მგალობელნი გალობენ: „წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ“ და სხვ., შენც უგალობე ეს საგალობელი უფალსა ქრისტეს, რომელიც აღსდგა მკვდრეთით, და სძლია სიკვდილსა და ჯოჯოხეთსა და საფლავიდან მომავალს მას რქვეს: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“.

როცა მღვდელი იტყვის: „მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი მისატევებელად ცოდვათა, და სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, თქვენ და მრავალთათვის დანთხეული, მისატევებელად ცოდვათა“, მოიგონე შენც საიდუმლო იგი სერობა და ვნებანი ქრისტესნი და წარმოთქვი ეს ლოცვა: «მრწამს უფალო და აღვიარებ, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტად ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა, მოსული სოფლად საცხოვნებლად ცოდვილთა, რომელთაგან პირველი მე ვარ“.

როცა მღვდელი იტყვის: „შენი შენთაგან, შენდა შემწირველი ყოველთა და ყოვლისათეის», აღიმაღლე გონება შენი ზეცისაკენ, და ლმობიერებით ევედრე უფალსა ქრისტეს, რათა მოგივლინოს შენც მადლი სულისა წმიდისა და სამგზის გაიმეორე ეს ლოცვა: უფალო, რომელმა ყოვლად წმიდა სული შენი, მესამესა ჟამსა მოციქულთა შენთა გარდამოუვლინე, ამავე კეთილს ნუ მოგვაკლებ ჩვენც, არამედ განგვაახლე ჩვენ მავედრებელნი“. და როცა ეს ლოცვა წაიკითხო, სამჯერ მიწამდე თაყვანი ეცი, რადგან ამ დროს სრულდება დიდი საიდუმლო.

როცა გალობენ: „ღირს არს ჭეშმარიტად“ და სხვ. შენც იგალობე ესევე ლოცვა, და შენს გულში წაიკითხე: «ღვთის-მშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა“, და თაყვანი ეცი.

როცა კითხულობენ „მამაო ჩვენო“-ს, შენც ყურადღებით წაიკითხე, და როცა გაათავო, თაყვანი ეცი უფალსა ქრისტეს, რომელიც საიდუმლოდ იქ იმყოფება, და რასაც გალობენ, შენც ის წაიკითხე.

როცა მღვდელი ანუ მთავარ-დიაკონი იტყვის: „შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით“, შენ დავარდი შენი მაცხოვრის წინაშე, რომელიც ამ წმიდა ევხარისტიაში საიდუმლოდ იმყოფება: ვინაიდგან აქ ბარძიმში არის ჭეშმარიტი ხორცი ქრისტესი და ჭეშმარიტი სისხლი ქრისტესი და ამავე სიტყვებით: „შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით“ უწოდებენ მორწმუნეთ საზიარებლად. ხოლო როცა ცოტანი არიან მაზიარებელნი, ანუ სრულებით არავინ არ არის, ამოიოხრე და შესწუხდი, რომ კაცთა გულნი და შენიც გაქვავებულან. საკურთხეველის კარებიდან წმიდა ამ ნაწილთა ჩვენება მოასწავებს ქრისტეს გამოცხადებას მოწაფეთადმი აღდგომის შემდეგ და შემდეგ მთელს ქვეყანაზე, და შენც, როგორც მენელსაცხებელნი დედანი, გონებით მიუახლოვდი მაცხოვრის ფერხთა და ეამბორე მათ.

როცა მღვდელი ხელახლად გამოდის წმიდა ნაწილებით და იტყვის: «აწ და მარადის და უკუ-

ნითი უკუნისამდე“ და წმიდა ნაწილებს სამსხვერპლოზე დაასვენებს, ეს მოასწავებს ქრისტეს მეორე და მრავალ გზით გამოცხადებას აღდგომის შემდეგ, ხოლო შემდეგ ამაღლებას ცათა შინა; შენ აქაც მიწამდე თაყვანი ეცი აღდგომილს ქრისტეს, ფერხთა ზედა ეამბორე, გონებით გაყევი მას ცათა შინა მიმავალს და ამავე დროს ევედრე, რათა არ დაგიტოვოს შენ უმწეოდ, ეშმაკის საფრხეთა შორის მცხოვრები.

აი, ამ სახით სრულდება ჩვენი მაცხოვნებელი საიდუმლო. რაც შეეხება ევლოგიას, არც ეს არის მოკლებული საიდუმლოებას. როცა ქრისტე ამაღლდა ზეცად, ქალწული მარიამი დარჩა ქვეყნად მორწმუნეთა სანუგეშებლად; ამისათვის ურიგდება ხალხს ევლოგია, მსგავსად ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა იმ სებისკვრისაგან, რომლისაგან ამოღებულ არს ტარიგი სახედ იესო ქრისტეს სხეულისა. ამ სახით სებისკვრიდან ამ ნაწილის ამოღება მოასწავებს იესო ქრისტეს დაბადებას, ხოლო სეფისკვერი იგი ნიშნავს თვით ქალწულს; ამიტომაც ამ სეფისკვრის ნაწილებს ეწოდება ანტიდობა; ეს სიტყვა ბერძნულია და ჩვენებურად ნიშნავს ნაცვლად წმიდა ზიარებისა, ვინაიდგან ეს ნაწილები ეძლევა მათ, რომელნიც ღირსნი ვერ შეიქმნენ ზიარებისა, რომ იგინი ამით შეერთებოდნენ ქრისტეს; ნაცვლად ზიარებისა იღებენ ევლოგიას, რომ ამით მაინც არ მოაკლდენ ქრისტესთან დაახლოებას.

როცა იტყვის მღვდელი: „კურთხევა უფლისა თქვენზედა“ და სხ. მოიხარე თავი შენი და სთქვი: „ღმერთო მოგვხედე ჩვენ და გვაკურთხენ ჩვენ, გამოაჩინე პირი შენი ჩვენზედა და შეგვიწყალე ჩვენ“.

ყოველივე ეს მოიფიქრე და ჩაიბეჭდე გულსა და გონებაში და თავმდაბლად გამოდი ტაძრიდან, რომელიც ემსგავსება ცას, სადაც ანგელოსნი ხედვენ ღმერთსა პირისპირ და კრძალულებით ადიდებენ უფალსა და მათთან ერთად წმიდანი მამანი, რომელნიც თვისი წმიდა ცხოვრებით სათნო ეყვნენ უფალსა. მსგავსად აქაც საღმრთო ტაძარში იგივე უფალი იდიდების და ჩვენი გონებით იხილვების ყოველივე სინამდვილით, ვიდრე სადმე სხვაგან, ვინაიდგან ღვთის-მოსამსახურე პირთაგან შესრულებული საღმრთო წესები მოასწავებენ ღვთის საქმეთა, რომელნიც გვიმტკიცებენ, რომ ტაძარში საიდუმლოდ იმყოფება ქრისტე; კითხვა და გალობა მოასწავებს ანგელოსთაგან ქება-დიდებას: წარმოიდგინე, რომ შენ ცაზე იქმენ აღტაცებული და დაგაყენეს ღვთის ტაძრის წინ, მრავალ ანგელოსთა შორის, რომელნიც შიშით დგანან ყოვლად მპყრობელი ღვთის წინაშე, როგორ მდგომარეობაში ჩავარდებოდი შენ და როგორი კრძალულებით იდგომოდი? როცა ღვთის ტაძარში შედიხარ, ესევე წარმოიდგინე, და თუ შეიძლება ყოველივე გულის თქმანი განიშორე და დააცხვრე, რომ ტაძარში შეხვიდე არა იმიტომ, რომ სცოდო უფალსა და დაისაჯო, არამედ საცხოვნებლად. „რომელიც იქმს ღვთის საქმეს უდებებით, წყეულ არს“, ხოლო კურთხევა უფლისა არს კეთილის მომქმედთა მისთა ზედა...

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: ჩვენებური ფარისევლური ტირილის გამო.—ახალი ამბები და შენიშვნები.—პედაგოგიური შენიშვნები.—ძიმითის ორ-კლასიანი სკოლა.—განდეგილია, ლექსი.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—წმიდა ნინოს სახელის პატივისცემა საფრანგეთში.—გზა მღვდლობისაკენ.

სწავლა და **მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნ.** და **კეთილ-ზნეობაზე**: როგორ უნდა იდგე ეკკლესიაში ლოცვისა და წირვის შესრულების დროს.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 13 Ноября *1899 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хапановыхъ, на Нѣмецкой у.